ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N23-300301
საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 30.03.2023 წ.

შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი" (შემდგომში "უნივერსიტეტი") მოქმედი საკუთარი წესდების საფუძველზე, წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის რ. მაიკლ ქაუგილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო", (შემდგომში „ორგანიზაცია") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ლაშა გუნიას სახით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა მსმენელისათვის შესაბამისი განათლების მიწოდებით, რასაც უნივერსიტეტი ახორციელებს საკუთარი წესდებისა და პროგრამების ფარგლებში ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2. უნივერსიტეტი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს მომსახურება ორგანიზაციას - ჩაუტაროს მის მიერ განსაზღვრულ პირს (შემდგომში: მსმენელი) სასერტიფიკატო კურსი, კერძოდ: ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სასერტიფიკატო კურსი (შემდგომში: სასწავლო კურსი) და მსმენელის მიერ კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გადასცეს აღნიშნულის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ორგანიზაციის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადასახადის გადახდის სანაცვლოდ.

1.3. ორგანიზაციის მიერ სასწავლო კურსის მსმენელად განისაზღვრა – ანა იმნაიშვილი (პირადი: პ/ნ: 01011020044);

1.4. სასწავლო კურსის დაწყების თარიღია: 3 აპრილი 2023 წ., ხოლო დასრულების თარიღია: 8 ივლისი 2023წ.

1.5. პიარსკოლის სერტიფიცირებული დიპლომი გაიცემა გამოცდების (ინდივიდუალური ტესტი და ჯგუფური პრეზენტაცია) წარმატებით ჩაბარების ანუ დაწესებული მინიმალური ზღვარის გადალახვის შემდგომ. მინიმალური ქულა განისაზღვრება 60 ქულით. იმ შემთხვევაში თუ მსმენელი ვერ შეძლებს დაწესებული მინიმალური ზღვარის გადალახვას, რაც ხდება შემდეგ შემთხვევებში: 1) მსმენელი არ წერს ინდივიდუალურ საგამოცდო ტესტს 2) არ იღებს მონაწილეობას ჯგუფური საგამოცდო პრეზენტაციის მომზადებაში, ან არ მონაწილეობს პრეზენტაციის წარდგენაში გამოცდის დღეს საპატიო მიზეზის გარეშე 3) ჯგუფი არაჯეროვნად აბარებს საგამოცდო პრეზენტაციას, 4) გამოცდების შედეგად ვერ აგროვებს 60 ქულას ან მეტს, სერტიფიცირებული დიპლომის ნაცვლად მიიღებს სერტიფიკატს, რაც გულისხმობს რომ მსმენელმა მოისმინა პიარისა და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების კურსი.

1.6. მსმენელებს ზღვრული ქულის გადალახვის და სერტიფიცირებული დიპლომის აღების შესაძლებლობა მიეცემათ გადაბარების საფუძველზე, პიარსკოლის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

1.7. იმ შემთხვევაში თუ პიარსკოლაში მსმენელის მიერ დაგროვილი გაცდენების რაოდენობა აღემატება 6-ს (საპატიო მიზეზების გარეშე), პიარსკოლას აქვს მსმენელის გარიცხვის უფლება.

1.8. ასევე მსმენელები არ დაიშვებიან გამოცდაზე, თუ მას და მის ჯგუფს ჯგუფური პრეზენტაციისთვის მოსამზადებელი წინარე დავალებები პიარსკოლის ადმინისტრაციისგან განსაზვრულ ვადებში არ აქვს მიწოდებული ჯგუფის მენტორისთვის. ჯგუფს პრეზენტაციის მოსამზადებლად და ჯგუფის მენტორთან ჩასაბარებლად მიეცემათ გონივრული ვადები, რისი დაცვისა და პრეზენტაციის ჩაბარების შემგომ განისაზღვრება მათი დიპლომის მიღების საკითხი. ზვრული ქულის გადალახვის შემთხვევაში - სერტიფიცირებული დიპლომი, სხვა შემთხვევაში სერტიფიკატი.

1.9. ხელშეკრულების საგნის კლასიფიკატორის კოდი: CPV 80511000

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. უნივერსიტეტი ვალდებულია:

2.1.1. მიაწოდოს მსმენელს ინფორმაცია უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების შესახებ;

2.1.2. მიაწოდოს მსმენელს ინფორმაცია უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების, კვალიფიკაციის, ხარისხის, სწავლების საფეხურებისა და განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ;

2.1.3. გააცნოს მსმენელს ლექტორთა კონტინგენტი და მათი სასწავლო-პროფესიული გამოცდილება;

2.1.4. შეუქმნას მსმენელს სასწავლო პროგრამით და სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული განათლების მიღებისათვის საჭირო სასწავლო გარემო და მსმენელის მიერ უნივერსიტეტის დადგენილი სასწავლო მინიმუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში გასცეს შესაბამისი სერტიფიკატი.

2.2 უნივერსიტეტს უფლება აქვს:

2.2.1. მოითხოვოს მსმენელისაგან უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის დებულებათა მკაცრი დაცვა;

2.2.2. საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი რეგულაციის ან/და რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასწავლო კურსი ჩაატაროს დისტანციურად ონლაინ პლატფორმის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში ყველა სხვა პირობა, მათ შორის სწავლის გადასახადი, რჩება უცვლელი.

2.2.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებამოსილება.

2.3. ორგანიზაცია ვალდებულია:

2.3.1. წინამდებარე ხელშკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად დროულად და სრულად გადაიხადოს უნივერსიტეტში სწავლისათვის დაწესებული გადასახდელი;

2.3.2. მოავლინოს მსმენელი, რომელიც დააკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სასწავლო მინიმუმის მოთხოვნებს;

2.3.3 უზრუნველყოს მის მიერ მოვლენილი მსმენელის მიერ უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის და შინაგანაწესის დაცვა.

2.5. ორგანიზაციას უფლება აქვს:

2.5.1. მის მიერ მოვლენილმა მსმენელმა მიიღოს ხარისხიანი განათლება;

2.5.2. მის მიერ მოვლენილმა მსმენელმა უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

2.5.3. მის მიერ მოვლენილმა მსმენელმა თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, სამართლიანი და ობიექტური კრიტიკული შენიშვნები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

2.5.4. მის მიერ მოვლენილმა მსმენელმა თავისუფლად განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

2.6. ორგანიზაციას უფლება აქვს:

2.6.1. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება უნივერსიტეტის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

3. გადახდის პირობები

3.1. ორგანიზაცია გადაიხდის ანა იმნაიშვილის (პირადი: პ/ნ: 01011020044) ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სასერტიფიკატო კურსზე სწავლის საფასურს, რომლის ღირებულება შეადგენს 1800 (ერთი ათას რვაასი) ლარს. სწავლის საფასურის გადახდა მოხდება კურსის დამთავრებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

3.4. მხარეები თანხმდებიან, რომ სასწავლო კურსის დაწყვებამდე გადახდილი თანხა ორგანიზაციას უკან არ დაუბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა თუ სასწავლო კურსი არ განხორციელდა უნივერსიტეტის ბრალით.

3.5. ორგანიზაციის მიერ სასწავლო კურსის ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს თანხის შეტანის/ჩარიცხვის გზით უნივერსიტეტის წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზეტებზე:

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი- ანა იმნაიშვილი.

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების გზით;

5.3. ხელშეკრულება უნივერსიტეტის ინიციატივით შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

- თუ მსმენელი არსებითად არღვევს ამ ხელშეკრულებით, შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნებს;
- თუ მსმენელი ვერ აკმაყოფილების დადგენილი სწავლის მინიმუმს;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.4 ნებისმიერ მხარეს შეუძლია, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გზით, დაუყოვნებლივ შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში;

5.5 ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით;

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები არ აგებენ პასუხს შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის ფორს მაჟორული გარემოებების დადგომისა და მათი მიმდინარეობის პერიოდში;

6.2. ფორს-მაჟორულად ითვლება ისეთი გარემოებები, რომელთა დადგომის პროგნოზირება, თავიდან აცილება და/ან მიმდინარეობაზე ზემოქმედება აღემატება მხარის ძალებს. მათ შორისაა (მაგრამ არ შემოიფარგლება): სტიქიური უბედურება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, ხელისუფლების აქტები, რომლებიც მნიშვნელოვნად აბრკოლებს მხარის მიერ ნაკისრ უფლება-მოვალეობათა განხორციელებას;

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს და დაუსაბუთოს ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობის მიზეზი;

6.4. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო დასაშვებია ამ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.

7. სადავო საკითხების განხილვა

7.1. მხარეები, მათ შორის წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტისას ცდილობენ მიაღწიონ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას მოლაპარაკების გზით;

7.2. თუ მოლაპარაკების გზით შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მაშინ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს სასამართლო.

8. შეტყობინების განხორციელება

8.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ელექტრონული ფოსტის სახით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ლაშა პაპელიშვილი (ტელ.: 599 88-88-96, ელ. ფოსტა: Lpapelishvili@lta.gov.ge), თეონა ჯალაბაძე (ტელ. 555 10-09-60, ელ.ფოსტა TJalabadze@lta.gov.ge) მიმწოდებლის მხრიდან - თამთა ნიშნიანიძე (ტელ.: 591 11 22 00, ელ. ფოსტა: tamtanishnianidze@gau.edu.ge).
8.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატთან მისი გაგზავნის დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
8.4. „უნივერსიტეტიც" და „ორგანიზაციაც" ვალდებულნი არიან, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;
9.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თანხმობით და წერილობითი ფორმით.
9.3. ხელშეკრულება იდება უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებისა და წესდების შესაბამისად, განსაზღვრული ვადით და მოქმედებს მსმენელის მიერ სასერტიფიკატო პროგრამის მიმდინარეობის მთელი პერიოდის მანძილზე, სასწავლო პროგრამის შესაბამისი სერტიფიკატის მოპოვების ჩათვლით.
9.4 ხელშეკრულების რომელიმე მოთხოვნის ან პირობის ნებისმიერ დროს ძალადაკარგულად ან/და ბათილად ცნობა არ მოახდენს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების დანარჩენი პირობებისა და მოთხოვნების იურიდიულ ძალაზე, კანონიერებასა და განხორციელებადობაზე. მხარეები აგრეთვე თანხმდებიან, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეცვალონ ბათილად ცნობილი ან ძალადაკარგული პუნქტები თავდაპირველად შეთანხმებული შედეგების მისაღწევად, რათა შეინარჩუნონ ხელშეკრულების მიზანი და ვადა.
9.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/ელექტრონული შტამპით.;
9.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ვადასტურებ, რომ სრულყოფილად გავეცანი, გავიგე და ვალდებულებას ვიღებ დავიცვა წინამდებარე ხელშეკრულება.

მხარეთა რეკვიზიტები:

უნივერსიტეტი
შპს „ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტი“
მის: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის N10
ტელ: (+995 32) 2206520
საიდ. კოდი: 206169304
ბანკი: „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE96BG0000000161809632

ორგანიზაცია:
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

პრეზიდენტი
რ. მაიკლ ქაუგილი

Georgian American University LLC
Digitally signed by Georgian American University LLC
Date: 2023.03.30 18:07:45 +04'00'

დირექტორის მოადგილე
ლაშა გუნია

Lasha Gunia 01025010715
Digitally signed by Lasha Gunia
Date: 2023.03.30 17:38:09